

კანკალე

1888-1889

«მწერები» გამოცდას თვეში თავზე, უფაველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს თ ა ს ი:

«მწერები»

12 თვეთ	რ. 10 არ მან.	12 თვეთ	6 მან.
6 —	8 —	6 —	4 —

გაზრდის ფულის და ურველ გვარი წერილების გაგზავნა
შეიძლება ამ ადრესით: ვა ჩერისა, ვა კომიტუ
редакции „Мукемси“ (Пасტორ).

შინაარსი: გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო მთავრობისაგან. — საჭართველოს სამწყებოსაგან. — საჭართველოს სამდვდელ-მთავრო
კვერთხის მირთმევა მისი მაღალ უგლიდ უსამღვდელობის საქართველოს ექსარხოსის პალლადისადმი მთი მეუფების
ანგელობის დღეობის დღეს. — რა მდგომარეობაშია დღეს ჩემი სწავლა-განათლების საქმე. — წ. ანდრია პირველ-წლებულის
სახელმძღვანელო დასასესქლი მმობის წევრთა საზოგადო კრება ქ. თბილისში. — ახალი ამშები და შენიშვნები. — თელორე—ქრისტიანი
და მისი მეგობარი აბრამა—ურა (ძეგლი ამავი ნათარჯმნი რუსულიდგან). — წმიდა ნინა ქართველთ-გამნათლებელი. — საქვა
კონგრესის განმარტება. — განცხადებანი.

ჩარის-სამეგრელოს მარატის სასულიერო მთავ-

რობისაგან.

ოზურგეთის მაზრაში, მეენობანის წმიდა ზორა-
გის ორ-შტატიან ეკკლესიაზე არის თავისუფალი ად-
გილი პირველი მღვდლისა. ამ ეკკლესიაზე შტატით
ორი მღვდელი და ორი მედაიონე არის დანიშნული;
სამრევლოში 192 კომლია. პირველ მღვდელს საეკ-
კლესო ხაზინიდამ წელიწადში ეძღვევა 80 მანეთი,
დრამის ფულს გარდა. მკკლესის კრებულისათვის
საეკკლესის სახლი არ არის.

ამ ადგილზე ეპარქიალური მთავრობა იწვევს
სკონარიაში კურს შესრულებულ პირს.

მდივის თანამდებობის აღმასრულებელი კ. ცეცხლ-ქ.

უველა სტატიები და კონკრეტონდენციები, რომელიც
რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასახელდავათ, უფავე-
ლობისა და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-
მოწერილინი. აგრეთვანთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება
ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიძებონ.

სტატია, რომელიც არ დაიძებიან, საში თვის გამოშე-
ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და
თარგმნით დაიძებიან.

საქართველოს სამწყებოსაგან სამდვდელ-მთავრო
კვერთხის მისი მაღალ უგლიდ უსამღვდელობის საქართველოს ექსარხოსის პალლადისადმი მთი მეუფების
ანგელობის დღეობის დღეს. — რა მდგომარეობაშია დღეს ჩემი სწავლა-განათლების საქმე. — წ. ანდრია პირველ-წლებულის
სახელმძღვანელო დასასესქლი მმობის წევრთა საზოგადო კრება ქ. თბილისში. — ახალი ამშები და შენიშვნები. — თელორე—ქრისტიანი
და მისი მეგობარი აბრამა—ურა (ძეგლი ამავი ნათარჯმნი რუსულიდგან). — წმიდა ნინა ქართველთ-გამნათლებელი. — საქვა
კონგრესის განმარტება. — განცხადებანი.

28 იანვარს, მისი მაღალ უგლიდ უსამღვდე-
ლოებობის საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპის-
კოპოსის პალლადის ანგელობის დღეს, ივერიის
სამწყებო მთა მეუფებას მიართა სამდვდელ-მთავრო
ეკითხვას კვეტონა და კვეტონა მიართა მეუფებას მიართა გულ-
რეული იული მთელი საექსარხოსის შეცილენითა გულ-
რეული ერთგულება და სიყვარული საყვარელი
მწყემს-მთავრისადმი.

27 იანვარს თბილისის უკანასკნელი მართლ მაღიდებელ
ეკლესიებში შესრულებულ იქმა ღამის-თევზ

ლოცვა მისი მეუფების ექსარხოსის კეთილდღეობისა და სიმრთელისათვის. თვით მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ თავის კარის ეკკლესიაში შეასრულა დამის-თევით ლოცვა სინოდალნი კანტორის წევრთა არქიმანდრიტთა მაკარის, ნიკოლოზის და სხვა სამღვდელოებითთურთ. თუმცა საქმი-დღე იყო და მასთან წვიმიანი ტაროსი, მაგრამ ექსარხოსის ეკკლესიაში მოვიდნენ ზოგიერთი დეპუტატები იმერეთიდან, ბურიდებან და სამეცნიელოდებან, რომელნიც ჩამოვიდნენ თბილისში ამ დღეობაზე დასაწრებლად.

მაღაქს ემჩნეოდა განსაკუთრებითი მოძრაობა: სამღვდელოებას და საერთო დეპუტატებს, რომელნიც შეიკრიბნენ თბილისში ექსარხოსის მისალოცავად, რჩეა ჰქონდათ, თუ როგორ და რა წესით მიერთმიათ მათი მეუფებისათვის სამღვდელ-მთავრო კერთხი.

28 იანვარს თბილისის უცელა ეკკლესიებში აღრიანად შესრულებულ იქმნა წირვა და პარაკლისი. ხოლო სახახლის ეკკლესიაში სამღრთო ლიტურგია დაიწყო დილის 10 საათზე. მწირველი ბრძანდებოდა თვითონ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა და მასთან ერთად ყოვლად სამღვდელო ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ბრიგორი და სხვა მაღალი სამღვდელოება. ტაძარი მთლად სავსე იყო მღვაცელებით, რომელთა შორის შენიშნავით სოფლებიდან ჩამოსულ დეპუტატებსაც. წირვის გათავების შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის დაწყებამდე ეკკლესიაში მოედნენ ადგილობითი და მთელი მხარის მთავრობის წარმომადგენელნი. პარაკლისის გათავების შემდეგ წარმოითქვა «მრავალ-ემიერ» ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა, მემკეიდრე ცეხარევიჩისა, სამეუფო სახლისა, უწმიდესი სინოდისა და მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადისა და მთელი ივერიის სამწყობისა. პარაკლისის გათავების შემდეგ მათი მეუფება გამობრძანდა ეკკლესიიდამ თავის ზალაში, სადაც მწევრმს-მთავარს ელოდებოდენ მთელი საქართველოს წარჩინებულნი პირნი: წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, მთავრობისა, სამღვდელოებისა, სასულიერო სასწავლებლებისა და ადგილობით გიმნაზიებისა და საერთო სკოლების დირექტორები მაცევასის სამოსწავლებლო ოლქების მხრუნველის ბ. პ. იანოვსკითთურთ. მთელი ეს კრება მოელოდა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდე-

ლოესობის ზალაში შემობრძანებას, რათა აქ სულით და გულით მისალმებოდა იგი თავის ძეირფას მწევრმს-მთავარს... შემდეგ ეკტენისა, რომელიც ხსა მაღალ წარმოსთქვა მ. პროტო-დიაკონმა, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამდობლმა, მათი იმპერატორებითი სახახლის კამერუგრმა ბ. მაღალოვა *) მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას წაუკითხა შემდეგი შინაარსის აღრესი საექსარხოსოის უცელა წოდებათა სახელით:

თვევნო მაღალ უოვლად უსამღვდელოასობავ, უ თვალად მოწყალეო მზუამ თ- გთავარო და გამართ!

თქვენმა, თუმცადა არა ხარჯად იქმა, მაკრაში ფრიად ნაყოფიერმა მსახურებამ ღვთისაგან თქვენდამი მონიკებულ საქართველოს სამწყობაში უკვე აღბეჭდა ისეთი ღრმა კვალი გულთა შინა გულ-წრფელად პატივ-მცემელთა თქვენთა სამწყობა, რომ ეს კვალი მარადის დარჩება და არ წარიხოცება სანამ ცოცხალია მართველი ერი. სახელი თქვენი მართველი, ერმან დარჩება ისე უკვდავად, როგორც უკვდავია თვით იგი სიყვარული, რომლითაც თქვენ დაიწყეთ თქვენი მწევრმს-მთავრული სამსახური, რომელსაც. ასრულებთ დღეს და, ვიმედოვნებთ, შემდეგშიაც განაგრძობთ მას საკეთი დღეოდ, სულის საცხოვნებლად და საკეთი დღეოდ თქვენ სამწყობათვის. სიყვარულით, მშეიღობით და ლოცვა-კურთხევით შემოსდგით ფეხი, ვითარება კეშმარიტმა მწევრმა თქვენს, სამწყობა — და იგივე სიყვარულით, იგივე მშეიღობით და ლოცვა-კურთხევით შემოეგებენ თქვენს ულრმესად გულწრფელ გრძნობათა მაღლობით აღსილი მართველთა გულნი. ბრძნობას გამოიწვევს მხოლოდ გრძნობა და თქვენც საქმით დაამტკიცეთ ამ კეშმარიტმას სრული შეკნება, თქვენ შეიყვარეთ ერი და მანაც, თქვენ მიერ კურთხეულმა, შეგიყვარათ თქვენ. თქვენ დაუდალავ ზრუნავთ მის რელიგიურ და ზეობრივ წარმატებისაოეს და ისიც მუდამ აღავლენს უზენაესი-საღმი მხრუნველების ლოცვას, რათა ბეღნიერ და მრავალ-ემიერ იყოს სიცოცხლე თქვენი საკეთი დღეოდ

*) თბილისის გუერნიის თავად-აზნაურთა წარმდგრავი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მეხრანეს გადა-მყოფობისა გამო ვერ დაეწრო ამ დღეობაზე, ხოლო წერილი მიართვა მის მეუფებას.

ეკულესისა და მამულისა. მრი ყოველთვის იყვარებს
შემყვარებელსა ხისა. სიყვარულობით აღესილი გული
თქვენი გასწავებთ თქვენ ჭეშმარიტ საჭიროებათა და
ნამდევილ ნაკლთა სულ იქრად ხელ-მძღვანილ თქვენ
რიცხ ერისას, ხოლო გამოცდილი, გამჭრიახი გონება
თქვენი გრჩევნებსთ თქვენ ნამდევილ სახეართა დახაკ-
მაყოფრებლად პირველთა და განსაკურნებლად უკა-
ნასწერლთა.

ზანახლება ძევლ შესანიშნავ ტაძრთა, შემკა-
ბა ახალთა, მუდმივი მზრუნველობა ეკულესიური
სამსახურის კეთილ-წესიერებისათვის და გამშვენები-
სათვის, მოწვევა მთელი საექსარხოსოის ზამდედე-
ლობისა ერთეულობით და ერთ - სულობით
საბრძოლებელად ხალხის ცრუ-მორწმუნებასთან,
დასარიგებლად სამწყსოთა, განსამტკიცებლად და
გნაცხოველებლად მათში ჭრიში სარწმუ-
ნოებისა, ვინაიდგან ზოგან სამწყსოთა შინა იძ-
ნევის სარწმუნოებრივი გულ-გრილობა, აღსამაღ-
ლებლად ქრისტიანული ზნეობისა ხალხში, დაუღ-
ლავი მზრუნველობა ეკულესის მოსამსახურთა ნივ-
თიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბეჭითი
ფალ-ურის დევნა სწავლა-განათლების საქმისა, სა-
სულიერო სასწავლებლებში, მუყიათი მეცანეობა
საექსარხოსოში სამრევლო სკოლებისა და სამზრუნ-

ველოთა გაერცელებისათვის — ყოველივე ესე მხოლოდ მუზეოდენი ნაწილია თქვენის როტულის და მრავალ-გვარის მოღვაწეობისა, რომელიც სახესა მჩავალი სხვა-და. სხვა კრისტი განხრახვებითა და სურვილებითა განსაუმჯობესებლად და • განსავითარებლად თქვენი სამწყ-სოის მდგრადებისა და შეძლებისა და სრულიად მისაღწეველად თქვენ მიერ აღნიშნულის მიზნია — ჩათა დაუსრულებელი დასრულოთ და ნაკლებული ჭავასწოროთ.

თქენი მაღალ-ხევობრივი ცხოვრება თქვენს
მაღალ-მოოწმუნე გულთან და მაღალ განათლებულ

მსრეთი ერთობლივი ლრმა პატივისცემა, ნდობა
და სიყვარული თქვენლამი მთელი საექსარხოსოის
მცხოვრებთა თან-და-თან იჩრდება და ძლიერ-
დება და მით ამტკიცებს თქვენსა და მათ შორის შე-
ურყოფელს და გულწრფელ კაშირსა.

მსრეობმა წარჩინებულია და ღარსეულმა ხამ-
სახურმა თქვენმა ძევლიდგანვე მართლ-მაღიდებელ
საქართველოში მიიცია ყოვლად უმოწყალესი ყუ-
რადლება უკეთილმსახურების ჩვენის ხელმწიფისა და
რუსეთის თვით-მშენებლისა, რომლის გული ხელ-
თა შინა დეთისათა პრს და იგი აღიარებულ იქმნა
მის მიერ უმაღლესად ბოძებით თქვენი ყოვლად
უსამღებელოებობისადმი ბრილიანტის ჯერის ბარ-
ტკულაზედ სატარებლად ფრიად კეთილ-მნებელობი-
თის თქვენთვისა და ყველა თქვენი სამწყსოთათვის
რეას კრიპტითურთ.

შოელად მოწყალეო მღვდელ-მთავარი! საქართველოს ერთ ძველ დროში მაშინდელი ჩვეულებისაგრძო თავის უსაყვარლეს და უპატივცემულეს წყვეტისთ-მთავართა მიართმევდა სამღვდელ-მთავრიკვერთხსა, როგორც ნივთიერს ნიშანს თავის ღრმად პატივის-კვებისა და ერთგულებისა მათდამი.

ჩვენ კეთილ მასტურთა წინაპართა მაგალითისა
ებრ, ყოვლად უმოწყალესო მამათ, ნება გვიბოძეთ
ჩვენც, საეჭარხოსოის მწევმსთა და სამწყსოთა სახელით
მოვართეთ თქვენც სამღვდელ-მთავრთ კვერთხი.

მიღლე, მეუფეთ წმიდაო, ეს ნიკიერი კვერთ-
ი, ვითარცა სიმბოლო სულიერი კვერთხისა,

ვითარება წინ უ მარად შეურყეველის კავშირისა თქვენისა და თქვენს სამწყსოთა შორის და ნიშნად ღრმა და გულ-წრფელი პატივისცემისა.

შოელად წმიდა ღვთის-მშობელი, რომლის წილ-ხდომილია საქათველო, იყოს თქვენი, — ვეველებით მას ერთგულად, — მეოხად, შემწედ და მთარეველად თქვენს მწყემსთ-მთავრულ მოღვაწეობაში და შრომაში ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენი-სათა საკეთილ-დეოდ და წარსამატებლად ჩვენის ქვეყნისა!

ამ ადრესზე ხელი უწერიათ იმიერ და ამიერ კავკასიის სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა უკველა უმაღლესს წარმომადგენელთ, და გარდა ამისა იგი დამოწმებულია 2000 ხელ მოწერილობით თავითა, აზნაურთა, სამღვდელოთა, სამოსწავლებლო და სხვა წოდების პირთა.

პდრესის პირველ ფურცელზე ხელი უწერიათ სამსახურითა და გვარულობით უწარჩინებულესთა პირთა, სახელდობ: სახელმწიფო რჩევის წევრს, გენ. ალიუტ. ლ. ი. მელიქოვს, უგანათლებულესს თავადს გენ. ალიუტ. დადიანს, კორპუსის კომანდარს თ. ზ. ზ. პავლიშვილს, მილის უდიდებულესობის სასახლის კამერგერის ხ. ბონჩაროვს, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვრლს გენ. ლეიტ. ი. ქ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, თბილისის გუბერნატორს მისი უდიდებულესობის სასახლის კამერგერის თავადს შეჩერაშიძეს, ვაკე გუბერნატორს ჩაიკავშირს, შუთა-ისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვრლს თავად კონ. წულუკიძეს, მაზრების თავად აზნაურთა წინამძღვრებს: თბილისისას, სიღნაღისას, შუთაისისას, მშერებისას, თელავისას, გენერალ მაიორთა: თავად დ. ზუმბათოვი, კოხანოვს, მაჭავარიანს და სხვა-თა მრავალთა.

პდრესის კითხვა რომ გათავდა მ. დეკანოზიშა დავით ლამაშიძემ, რომლის გარეშემო იდგნენ სხვა-და-სხვა დეპუტატები სამი ეპისკოპოსებითურთ მიართვა მათ მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას ექსარ-ხოს კერძოთხი. მათმა მეუფებამ, მიიღო რა კვერთი, წარმოთქვა სიტყვა, რომელიც აქვთ მოგვყენ შეუკველელად:

«ჯერ კიდევ დიდი ხანი არ გასულა, რაც მე მწყემსთავრობ ღვთის მიერ ჩემდამო რწმუნებულ ქველსა და დიდებულს საქათველოს სამწყსოში. ჯერ კიდევ ბევრი რამ კეთილი და სასარგებლო ვერ მო-

გასწარი და ასეთ მოკლე ხანში, რასაკეირებელია, არც შეიძლებოდა რაიმე დიდისა და შესანიშნავის შესრულება... მაგრამ აპა სამწყსოის სიყვარული წინ-და-წინვე მიჩვენებს მე ჩემს მწყემსთ-მთავრულ მაჯმულებაზე, წინათვე მითითებს ჩემს კეთილ-განზრახვებაზე. ეს მღვდელ-მთავრული კვერთი — საღმრთო ძლევი, სამწყსოისაგან მორომეული და ეხლა წაკითხული აღრესი, საცე შეურვალე გრძნობითა და ლრმა სიყვარულითა ცხადად და თვალ-საჩინოდ მოწმობენ სამწყსოის კეთილ-განწყობილებას მის მწყემსთ-მთავრითან. და ჩემი ვალია ჩემი მამავალი მწყემსთ-მთავრული მოღვაწეობით გავამართოლო და განვახორციელო სამწყსოის მოღონილი და იმედი, — კეთილად და ჯერვანად დავადგინო თავი თვისი ღვთისა და სამწყსოის წინაშე და სიმართლით უძლიდე სიტყვასა ჰეშ-მარიტებისასა, რათა მწყემსებრავი ჩემისამსახური ჰეშ-მარიტად კეთილი და სასარგებლო იყოს სამწყსოისა-თვის. «რამეთუ მოწამე ჩემდა არს ლერთი, ვიტუ, საღმრთო წერილის სიტყვებითა, ვითარ მიყვარხართ მე თქვენ მოწყალებითა მრისტე იქსოსითა და ამას ვიღოცავ, რათა სიყვარული ევე თქვენი უფროს და უმეტეს გაძლიერდეს და თქვენ აღიეროთ კეთილი ნა-ყოფითა სარწმუნოებისა და სიყვარულისა, სიმართლი-სა და ჰეშმარიტებისა». (ზალ. 1, 8—11). მწყე-სისათვის უდიდესი სასოება და სიხარული, პატივი და სიქადული განა მოიპოვება სხვა რამეში, თუ არ მორწმუნე სამწყსოში, რომელიც თავის მწყემ-სთავარს ჰეშმარიტი სიყვარულით და ერთგულებით უმტკიცებს თავის მამაშვილურ გრძნობათა? მხურვა-ლედ ვევედრები ჰეციურ მწყემსთ-მთავარს უფალსა ჩენენსა იქსო მრისტეს, რათა ესე ცხოველი სული მშეიღობისა, სიყვარულისა და ერთკულების კავში-რისა (1 კორ. 13, 8), რომლითაც აღუროთვან ე-ბულმა, — ნებისაებრ უკეთილმსახურებისა და ყოველად უმოწყალესისა ხელმწიფე იმპერატორისა ჩენისა და უწმიდესი სინოდის ლოცვა-კურთხევითა, ვიწყე ღვთისმიერ ჩემდამო მონიჭებული სამწყსოის მართვა, არ დამრტეს კვლავაც სამწყსოთა და მწყემსთ-მთავრის შორის, არამედ უმეტესად გაძლიერდეს და აღორძინ-დეს. მს სულიერი კავშირი—დიდი და ძლიერი ჩნეობრივი ძალა: იმას მრავალი სიკეთე შეუძლია ჰემინას როგორც სარწმუნოების, ისე სამოქალაქო საქმეებში; ამავე კავშირს შეუძლია შეგვიმსუბურება და გაგრიადეოლოს ჩენენ აღსრულება ჩენენთა ურთიერთ-შორის მოვალეობათა.

სულით და გულით ვასტრებ, რომ აშინ დელი დღესასწაულებრივ წამს მიღებული კვერთხი ეს, რომელიც ჩემს მწყემს-მთავრობას მიუძღვნა ჩემის სამწყუსოს იმავე სიყვარულმა მისი ღირსეული და საპატიო წარმომადგენელთა ხელოთ, უეიქნას სამარადისო ნიშნად და სიმეოლოდ ჩენის სულიერის უწრფელესის დამოკიდებულებისა, მშეგობლისა და სიყვარულისა, რომელიც უკვდავად უნდა დარჩეს... ამ წმიდა და შესანიშნავ ნიშანს სამწყსოს ყურადღებისა და პატივისცემისას თავის მწყემსთ-მთავრისადმი—ამ კვერთს; სიყვარულით ვიხმარ მე საღმრთო მსახურების დროს და უსისხლო მსხვერპლის შეწირვის ეამს ვილოცავ ჩემის სამწყსოს კეთილდღეობისა და ცხოვნებისათვის.

ზულით და სულით ემადლობ ყველა იმ პირთა, რომელთაც მიძღვნეს ეს ძეირფასი და სასიამოენო საბოძარი. მოვალედ ვრაც ჩემს თავს განსაკუთრე ბითი გულწრფელი მაღლობა გამოუსადო საქართველოს დიდებულ თავად-აზნაურობას მათი უმაღლესად პატივცემულ წარმომადგენელთა პირით, რომელნიც ასეთ კუთილ-განწყობილებას იჩინს ჩემდამო დღიდვენ ჩემი ამ მხარეში პარველად ფეხის შემოზგმისა. აგრეთვე ჩემს გულითაუს მაღლობას უძღვნი ყოვლად სამღვდელოთა—თანამწყემსთა, უმახლობელებს ჩემ თანამშრომელთა და ყველა სამღვდელო კრებულთა, საექსარხოსოის სამღვდელოების ღირსეულ წარმომადგენელთა, აგრეთვე ჩემდამ რწმუნებული სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთა და მართველთა და ყველა დაწესებულებათა და სხვა წოდების პირთა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამა კვერთხის ძღვნაში.

ღმერთმა მომცეს ძალა, რათა ამა მღვდელ-მთავრული კვერთხით კეთილად ვმწყიდე ღვთის მიერ მონიშებულ ჩემდამ საქართველოს სამწყსოს. ქურთხეულ იყას იგი მარადის და დაცულ და დაფარულ ღვთისაგან. მარჯვერებან უზრნესისამ დაიფაროს იგი ყოველი მწუხარებისა და უზედურობისაგან, ყოველი ბოროტი განსაცდელისაგან, შუამდგომელობითა და მეოხებითა ყოვლად ძლიერი ზეციური შუამდგომელისა ქალწულისა მარიამისა, რომელმაც მიიღო წილად თეისად კურთხეული საქართველო!»

მათი მეუფების სიტყვამ კაი შთაბეჭდალება მოახდინა მსმერელებზე; მაღალ ყოვლად სამღვდელომ თავის სიტყვაში გულითადი მაღლობა გამოუსადა სახეობადებას და ამა მაღლობის ნიშანდ რამდენიმე გზის დაუკრა მას თავი. სატკვია გათავების შემდეგ

წარმოითქვეა ჩეცულებრივი «მრავალ-ქამიერ» და მათვა მეუფებამ ლოცვა-კურთხევა გადასცა ხალხს.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწა-უებმა მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოებას მიართვეს თავის ხელით გაკეთებული აღბომი და წერილების შესანახავი პაპა, ანანურის ძეელი ტა-როს, მთაწმიდინ მთის და მასზე აღშენებული დაით-ბარეჯელის ეკლესიის სურათებითურთ. საქალებო ქარქაილური სასწავლებლის მოსწავლე ქალებმა—მშევნეოერი ნაქრები სუფრა, მთაწმიდის ეკკლესიის მნათე ნოგოვენკომ მიართვა მათ მეუფებას ძეირუასად მიართული ხატი ღირსი პალლადისა, რომელიც მათ-მა მეუფებამ გადასცა თავის კარის ეკლესიაში დასა-სვენებლად. ამ დღესასწაულზედ დაესწრენ აგრეთვე მაღალი წრის მანდილოსნებიც: პნეინა მელიქოვისა, თუმანოვისა, ზონაროვისა, ორბელიანისა და სხვათა. ნაშუადღევის ოთხ-საათამდის მისი შეუფების ზალა სახე იყო სამოქალაქო და სახეცრო უწყებათა მრავალი პირებით. სადილზე, რომელიც მისმა მეუფებამ ექსარ-ხასმა გაუმართა მოსულ დეპუტატებს, ყოვლად სამღვდელო ზრიგორიმ, ბურია-სამეგრელოის ეპისკოპოსმა მოახსნა მის მაღალ ყოვლად უსამღვდე-ლოებობას ექსარხოსს შემდეგი გრძნობით სახე სიტყვა:

მაღალ ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო!

მრავალთა წელთა შორის, რომელიც აღმესავი არ არა თქვენი ერთგულის სამსახურით მართლ-მადიდებელი ეკვლებისადმი, დღეს შესრულებული წელი უნდა ჩაითვალის შესანიშნავ წელად. ამ წელში თქვენი სამსახური ჯერვანად დაჯილდოვდა: მაღლიდამ—დადის ჩევნის ხელმწიფე იმპერატორისაგან, რომელმაც გაგვაძენილი და ნუგაუ გვრცი ჩევნის ჩევნში მობრძანებით, დაბლიდგან—შვალთაგან მართლ-მადიდებელი ივერიას ეკ-კლესიისა—სამღვდელოებისა და ერიასაგან. გაგებასაში თქვენი ერთი წლის სამსახურის განმავლობაში, სამსახურისა, რომელიც გამსჭიდვულ და აღმდეგოვანი ბულეტის მშვიდობისა და სიცარულისა სულით, თქვენ დამსახურეთ: ხელმწიფისაგან ბრილიანტის ჯგარი, დამამშვენებელი თქვენის ბარტულისა, სამღვდელოებისა და ერიასაგან სამღვდელ-მთავრო კერძოთი, რომელიც მოგერთვათ თქვენ დღეს თქვენი ანგელოზის დღეობაზედ...

ისარებდეს გული თქვენი, მეუფერ! იშვიათი მაგალითა, რომ ამ წუთის სთვილის მომაკვდაცნა დასხაგისძლიერება ერთსა და იმავე დროს ესრულის მაღალის პატივისა — ხელმწიფის წევადაბისა და ერთს სიყვარულისა. სოდო თქვენ დაიმსახურეთ ერთცა და მეორეც სრულიად. დღიდგის თქვენის შემოიძახებისა საჭართველოში დღესასწავლიშე, თქვენ დაუძინებელ მზრუნველობასთან ერთად ივერის ეკვდების გეოდედებისა და დიდებისათვის, სირუპანი გურთხევისა და სიყვარულის თქვენი სამწესოსადმი ჰაგაშორების ბაგეთ თქვენიან.

და ამა სამწესოისაგან დღეს თქვენდამი მორთმეული გეგრთხი ნივთიერი ბასუხად თქვენის მისდამი სიყვარულისა. ამ კერთხთან ერთად ს. მწერალ გიმდგნის თქვენ თავის მსურვალე სიყვარულს და დრმა ბატივისცემას. ღმერთმა ინებოს, რომ ეს კერთხი გამსდარიყოს ძალისა და მხერის ყავრჯინად თქვენის სამსახურის გაფასის გეგრთხი ბაგების გეგდესისადმი, გავასისა, რომელიც, რაგოლე თქვენ ბრძანეთ, «ძირითადი მარგალიტია მეორის გვარგინისა». ღმერთმა ინებოს, რომ კერთხი თქვენი მმართველობისა მარადის იქმნეს კერთხი სიმართლისა, რათა ას. რებდეთ თქვენ გულო ჩენთა თქვენის მდგრელმთავრული მსასურებით მართლ. მადიდებელი ივერის მშვესისადმი.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სრავლა-ზანათლების საშემ?

შეელა დამაბრუოლებელი მიზეზნი სწავლა-განათლებისა ჩენები, რომელიც ჩენ წინა ხურიაში აღნიშნეთ, ექვთვინიან ისეთ დაბრკოლებათა, რომელთა თავიდამ აცილება აცვილად შეიძლება, მაგრამ კიდევ არის ერთი ჩენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარიმე ცდა და შრომა არ გადის. მს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედგან მოგვდგომია კარზე და ჩენგან დამოუკიდებელიც არის. ჩენ მოგახსენებოთ რუსულს ენაზე. მს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგანი შესწავლა ძლიერ აფერებს ჩენი მონარდი ყმაწველების ჭეუა-გონების წროვნას. ბანვარტო ეს აზრი.

სკოლის უმთავრესი მიზენი არის გაუხსნას და განუერთაროს მოხარდ ყმაწვილს უელა ის ნიჭი, რომელიც მისთვის ღმერთს მოუნიჭებია, შეათვისოს ყმაწვილს ჭეუა-გონების წროვნას. მას წყურ-

ვილი და მისწრაფება ამა იდეალის განხორციელებისათვის, რომელსაც უნდა მოახვაროს მან მთელი თავისი ჭეუისა და მკლავის ლონე. მაგრამ კაცის სულის ზრდა და განვითარება ექვემდებარება მტკიცე კანონს, რომელიც ითხოვს თავისუფლებასთან ერთად მჭიდროდ და სწორე ნაბიჯით წინ სვლას; აქ ნახ. ტომები შეუძლებელია, თუ გვინდა, რომ საქმე წესიერად წავიდანოთ და თავიდამ ავიცილინოთ ჩიხევა ბუნებისა. მართალია, ჩენ შეგვიძლია წინააღმდეგით ბუნებას და დაგარღვეოთ მისი კანონები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ამ გვარ კაღინირებას არაოდეს არ მოგვიტოებს და აღრე თუ გვიან ჩენივე დაგვატეს თავზე ჩენი შეცდომის მწარე შედეგებს. ასეთი აზრი გვებადება თავში, როცა წარმოვიდგენთ ჩენი ყმაწველების მდგომარეობას რუსული ენის შესწავლის საქმეში.

ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ვითომც ჩენ წინააღმდეგი ვიყოთ რუსული ენის საქიროებისა ჩენი ხალხისათვის; პირიქით არა ერთხელ გამოვითქამს ჩენს გაზეთში და ეხლაც ვიმეორებთ, რომ რუსული ენის შესწავლა, როგორც სახელმწიფო ენისა, საკალებებულოა მართველთათვის და მართველებიც არასფერს არა ზოგვენ ამ ენის შესწავლისათვის. საჭიროდ ვრაცხო ამას კიდევ დაესძინოთ ისიც, რომ რუსული ენის შესწავლას უდიდესი განმანათლებელი მნიშვნელობა აქვს ჩენი მოხარდი თაობის აღზრდის საქმეში. საქმიან აღვნიშნოთ, რომ უცხო ენის შესწავლა საზოგადო ხსნის მესიერებას, შედარებითი შესწავლა მისი გრამატიკული ფორმებისა დედა-ენასთან ერთად აერჯიშებს და ამახვილებს გონებას და მჯელობას. ხოლო შეთვისება სხეა-და-სხეა გვარის უმშევნიერეს ფორმათა ფერად ფერად აზრთა და გრძნობათა გამოსახურებად ბადეს მოსწავლეში ესტეტიკურ გემოვნებას სულის სხეა-და-სხეა მდგომარეობათა გამოხატების საქმეში, — საქმიან ყველა ეს გავიხსენოთ, რომ დაურწმუნდეთ უცხო ენის შესწავლის დრო სარგებლობაში საზოგადოდ და უმეტესად რუსული ენისაში კერძოდ. დასასრულ მთელი გონებრივი განძი და სიმღიდრე სხეა-და-სხეა ერთა შეგვიძლია შეეითვისოთ მხოლოდ ამ ერთა ენების შესწავლით. მაშესადამ ჩენ თვით რუსული ენის წინააღმდეგ არა გვაქს რა, მხოლოდ ესწუხვართ, რომ ამ ენის შესწავლის საქმე ჩენ შე ჯერ სანატრელ გზაზე არ არის დაყენებული.

ვინ არ იცის, რომ საქართველოში ხალხი უეცე-

საღ ლაპარაკობს თავის სამშობლო ენაზე. მაღალ-წოდებაში ზოგან თუ იცის რუსული ენა ერთმა და ორმა, ისიც, თუ ძალა არ დაადგათ, ძლიერი იშვიათად ლაპარაკობენ ამ ენაზე. ამ ნაირად ჩექნი ბავშვები თავიანთი შმობლების სახლებში განსაკუთრებით სოფ-ლებში ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებენ რუსულს ენაზე. მხოლოდ მაშინ, როცა მოახლოებება ყვაწ-ვილის სკოლაში მიბარების დრო, შმობლები ეძებენ თავიანთ შეილებისათვის რუსული ენის მასწავლებელს. აქედამ ცხადია, რომ ჩექნი ბავშვები ამ ენას სწავ-ლობენ არა ცოცხალი საუბრის საშვალებით, არა ედ წიგნებში და სიტყვა-ფრაზების გაზიპირებით. ვა ხომ სულ სხვა-და-სხვა გზაა ენის შესწავლისა: ცოცხალის საუბრის საშვალებით ენის შესწავლა ბავშვს სრულიად არ ეძნება, განსაკუთრებით იმ ძლიერ და ცოცხალ მეხსიერების მეოხებით, რომელიც ბავშვის წლოვანებას ჩვევია; ბავშვი ითვისებს უკრობს ენას უშრომელად, თავის-თავად თითქმის ისე, როგორც ის სწავლობს დედა ენას დედის ტკბილ აჟერსში და ფერებაში. აქ ბავშვი იდგამს ენას უცხო ენაზე თა-ვის უფლად. მხოლოდ წიგნით ენის შესწავლა და მისი სიტყვების და წინადადებათა ზეპირობა ძლიერ მწარე და უსიამოვნო მრომაა ბავშვისათვის; ბავშვი საშინლად სწუხს ამ ტვირთით დამძიმებული და ძლი-ერაც ეზარება მას მის უნდაურად აკიდებული ბარ-ების ტარება. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში, ე. ი. როცა ბავშვი სწავლობს უცხო ენას ცოცხალის საუბრის საშვალებით, მისი ჭკუა-გონება თავისუფ-ლად იხსნება და ვითარდება, იგი ფრთა გაშლილი მადის წინ სრულის სიხალისით და სითამამით, ხო-ლო მეორე შემთხვევაში, როცა წიგნს აჩრიან ბავშვს ხელში და ჩატჩინებენ: აი ეს სიტყვები და ფრაზები დაიზეპირეთ — იგი უნდაურად ღონდება, ხალის კარ-გაეს, გონება უფროხის მას და მთელი მისი სულის გახსნა-განვითარება ფერხდება და ბრკოლდება. შე-იძლება ამ შემთხვევაში ემაწვილს მხოლოდ ერთად ერთი მეხსიერი მეხსიერება გაეხსნას სხვა ნიშა-ერებათა ხარჯით. თუ მაინცა და მაინც აუცილებლად საჭიროა წიგნით რომელიმე ახალი ენის შესწავლა, ნუ აქექარდებით და ეს საქმე დაგაწევებით ჩექნს შეილებს მაშინ, როცა ისინი რამოდენიმედ გონება გახსნილნი არიან და სამშობლო ენის გრამატიკული ფორმებიც საკმარიდ იციან, და არა პირველისავე ურმობის წელში, როცა უბედური ბავშვი ჯერ კიდევ ძლიერ ტატინებს დედა-ენაზე. მრთო სიტყვით ცოცხა-

ლი ენა უნდა შეისწივლოს კაცმა ცოცხალივე საუბ-რის საშუალებით ამ ენაზე, განსაკუთრებით თავ-და-პირველად, როცა მას სინორჩისა გამო არც სული აქვს დამაგრებული და არც სხეული...

78. ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე დაარსებული ქობის ფევრალი საზოგადო ერება.

15 იანვარს თბილისის სახულიერო სემინარიაში წლიური კრება ჰქონდათ წმ. ანდრია პირველ-წოდე-ბულის სახელობაზე დაარსებული ქობის წევრთა. დღეს სწორეთ რვა წელიწადი სრულდება, რაც ეს ქობა არსებობს სემინარიაში. ამ ქობას საგნად აქვს, რათა შემწეობა და დახმარება აღმოჩენის სემინარიის დარიბს და შეუძლებელ მოწაფეთა.

ნაშუადღევის პირველ სათის ნახევარზე ქობის წევრინი შეიკრიბნენ სემინარიის შენობის ერთ ზალა-ში. პრებაზე დაესწრები: მისი მაღალ ყოვლად უსა-მღვდელოებობა საქართველოს ექსარხოს პალლადი, ყოვლად სამღვდელონი აღექსანდრე, ეპისკოპოსი გო-რისა და ბესარიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, სემი-ნარიის მასწავლებლები და მრავალი გარეშე საზოგა-დოება. კრების გახსნისათანავე ქობის ხაზინადარმა მღვდელმა მ. ს. შოშიერმა წაიკითხა წარსული 1888 წლის ანგარიში ქობისა. ამ ანგარიშიდამ ცხადად სჩანს, რომ სემინარიაში ლარიბ მოწაფეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ამის მიზეზი, ჩექნის აზრით, ის არის, რომ სემინარიის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ნორმალურ კლასებთან უკვე დაარსებულ იქნენ პარალელური კლასები. უწინ მთელს სემინა-რიაში ძლიერ 180—200 მოწაფე სწავლობდა და დღეს კი ამ მოწაფეთა რიცხვი 400 ავიდა. პანსიონერების რიცხვი ისევ ის დარჩა, რაც წინეთ იყო, ე. იგი 101 ადგილი, რომელიც საკმარი იყო უწინ, როცა მოედნს სემინარიაში 180 და 200 მოწაფე სწავლობდა, მაგრამ დღეს ეს სახელმწიფო ადგილები ძალიან ცოცავა. ამიტომ სემინარიის მთავრობამ სთხოვა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებას, საქართვე-ლოს ექსარხოს პალლადის, რათა მისმა მეუჯებამ იშუამღვდომლოს უწმიდესი სინოდის წინაშე სემინა-

რის პანსიონში სახელმწიფო ადგილების მომატებაზე.
ექსარხოს შეუწყნარებია სემინარიის მთავრობის წინადა-
დება და შუამდგომლობა გაუვჩავნია, სადაც ჯერ არს.

ამ საანგარიშო წელში ძმობას ღარიბ მოწაფე-
თათვის დაურიგებია სულ 1584 მანეთი. ძმობის
შემოსავალი კი ამ წელში ყოფილია 1229 მანეთი და
93 კ. მის მაღალ ყოვლად უამდველობელობას სა-
ქართველოს ექსარხოს შეუწირავს ძმობის სასარგებ-
ლოდ წარსულს წელში 175 მანეთი და იმერეთის
ეპისკოპოსს, ყოვლად სამდველო ზაბრიელს—120
ჰარემეტის.

პირველ იანვარს ამა 1889 წელსა ძმობას ყოვე-
ლივე ხარჯ გარეშე დარჩენია 1600 მანეთი ბილე-
თებით, ხოლო ნალიდი ფული 189 მ. 21 კ.

ძმობის საპატიო წერები არიან: კავკასიის მთავარ-
მმართებელი ღონდურე-კორსაკოვი, მაღალ-ყოვლად
უსამდველოებებიანი: მიანნიკე, მიტროპოლიტი მოს-
კოვისა, საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპო-
სი პალლადი, მთავარ-ეპისკოპოსი შახანისა პავლე,
ყოვლად სამდველონი: იმერეთის ეპისკოპოსი ზაბ-
რიელი, დიმიტროვესკის ეპისკოპოსი მისაილი, პლექ-
სანდრე, ეპისკოპოსი გორისა და ეპისკოპოსი ზურია-
სამეგრელოსა გრიგორი.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ კრებამ ამოირ-
ჩია ძმობის გამგებელი და სარევიზო კომიტეტის
წევრი. ზაბეგებელი კომიტეტის თაქს-მჯდომარედ
აღრჩეულ იქმნა მ. არქიმან დრიტი პაისი, რექტორი
სემინარიისა, ხოლო წევრებად: არქიმან დრიტები მაკა-
რი, ნიკოლოზი, კესარიონი, მღვდელ-მონაზონი ნი-
კანორი, ინსპექტორი სემინარიისა და მღვ. ს. შოში-
ევი. სარევიზო კამისიის წევრებად აღრჩეულ იქმნენ
სემინარიის მასწავლებელნი თ. დ. ერმანია, პ. პ.
პლბოვი და სემინარიის ეკონომი მღვდელი მ. მანასე-
ლიძე.

ამ არჩევნების გათვების შემდეგ მისმა მაღალ-
ყოვლად უსამდველოებების წარმოსთქვა მოკლე
სიტყვა, რომელშიაც მაღლობა გამოუკადა ძმობის
ყველა წევრთა, მასთან მათმა მეუფებამ ძმობის სა-
სარგებლოდ შესწირა 150 მანეთი და წაბრძანდა სემი-
ნარიიდამ.

ასალი იშები და შენიშვნები.

მისმა მაღალ ყოვლად უსამდველოებებამ სა-
ქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ ქალაქ თბილისის
ღარიბთა სასარგებლოთ შესწირა ორასი მანეთი; ეს
ფულები მისმა მეუფებამ გადასცა თბილისის კევლ-
მოქმედი საზოგადოების თაქს-მჯდომარეს, ქალ-ბატონს
შერემეტივეისას.

ღლით ასალ წელიწადს, წირვის გათავების
შემდეგ ქალაქ თბილისის სამდველოებმა, ყველა
სასულიერო სასწავლებლების უფროსებმა, მასწავ-
ლებლებმა და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა
მრავალ წარმომადგენელებმა მიულოცეს ახალი წე-
ლიწადი და უმაღლესად ნაბეჭდი ბრილიანტის ჯვრის
მიღება, ბარტულაზე ხატახებლად, მისს მაღალ ყოვე-
ლად უსამდველოებების საქართველოს ექსარხოსის,
მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის. მილოცეს დროს
მთელი ქალაქის მართლ-მაღიდებელი სამდველოების
სახელით გრძნობდერი მისალოცავისტუკა უთხრა მთა
მეუფებას სიონის საკათედრო სობოროს დეკანოზა
გ. მ. მლიკემა.

მის მაღალ ყოვლად უსამდველოებებას, საქართვე-
ლოს ექსარხოს პალლადის შესწირავს თბილისის მეტე-
ხის საპყრობილის ტყვეთა სასარგებლოდ ორასი ცალი
წიგნავი სასულიერო სარწმუნოებრივი შინაარისისა და
რამდენიმე ფული ტყვეთა ცხოვრების ნიეთიერად
გასაუმჯობესებლად.

საქართველო იმერეთის სინოდული კანტორის
მდგრანს ბ. ჩრტაძეს მიულია წმ. ვლადიმირის ორდენი
მეოთხე ხარისხისა.

საერო განათლების მინისტრს, გაზეთის, «ი-
ვაგო ვრემენი»-ს სიტყვით, საჭიროდ დაუნახავს, რომ

1 იანვრიდამ 1889 წლისა ხელ-ახლა გახსნას მოამზადებელი კლასები გიმნაზიებში, პროგიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში.

**

რადგან ზოგერ თ ეპარქიალურ წმინდა სასანთლო ჯარ ხელი გადასცემი არ არ გარეონად ვერ სწარმოებს, ამიტომ უწმიდეს სინოდში აღუძრავთ კითხვა, რომ ამ ქარხნებისათვის შედგენილ იქმნენ ახალი წესები ანგარიშებისა და საზოგადოდ სანთლით ვაჭრობის წარმოების შესახებ. პროექტი ახლად შემუშავებულ წესთა თავ-და-პირველად წარევინება თითოეული ეპარქიის სამღვდელოების კრებათა განსახილველად.

**

ვალერბურლის საულიერო აკადემიაში შესულადოთი პოლტაველი მემამულე უ. შერეჩინ-ტრებინსკი. აკადემიაში შესვლისათანავე მას შეუწირავს აკადემიის სასამართლოდ თავის ადგილ-მამული და ფული სულ 20,000 მანეთის ღირებული. შემწირველსა სურს, რომ ყოველ ზაფხულობრივ, სწავლისაგან თავისუფალ დროს, ამ ფულების სარგებლოთ, აკადემიის ექიმის წინადადებისაგრძერ და აკადემიის რექტორის დამტკიცებით, იგზანებოდენ ხოლმე სამხრეთისკენ პოლტავის არე-მარეში ხუთ-ხუთი ავალ-მცოფი სტუდენტი თავის ჯან-მრთელობის განსაუმჯობესებლად. თვითონ ბ. ტრებინსკი თურმე ძალიან და მომდევნობის განვითარების და აკადემიის ხარისხის მიღებისა და აკადემიაში წარმოიდგინების შემდეგ ბ. ტრებინსკი ფიქრობს შეუდეგს მისიონერულ მოღვაწეობას ან რუსეთს გახეშე (იაპონიაში და ჩინეთში), ანუ რუსეთის სამხრებში—რუსების სხევა თემთა შორის.

**

გახეთ «Новое Обоз.»-ს ატყობინებენ პეტერბურლიდამ, რომ იქ უკვე შესდგომიან მიმღილისში

ტეხნიკური სასწავლებლის გახსნის საქმეს. ამ ტეხნიკური სასწავლებლის გარდა მავკასიაში გაიხსნება კიდევ სამიჯნაო სასწავლებელიც. ამ სასწავლებელში სწავლა გარემოდება სამი წელიწადი. სასწავლებელში მიღებენ იმ ყმაწვილებს, რომელთაც შესულებული ექნებათ ოთხი ანუ ხუთი კლასი რეალური სასწავლებლებისა. მოწაფეების რიცხვი იქნება სულ 60.

**

«მართებლობის მოამბეში» იბეჭდება უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის 1886 წლის ანგარიშის ზოგიერთი ადვილები. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ 1886 წ. დამლევს მთელს მამართვის ყოფილა 62 ეპარქია, რომელთაც მართავდნ: სამი პიტროპოლიტი, 16 მთავარ-ეპისკოპოსი და 43 ეპისკოპოსი. მარქიის მღვდელ-მთავრებთან ირიცხებოდენ სულ 33 ვიკარი ეპისკოპოსი. ამ დანიშნულ მღვდელთ-მთავრებთა გარდა ყოფილან დათხოვნილნი მოსახვენებლად 1 მთავარ-ეპისკოპოსი და რეა ეპისკოპოსი. სასულიერო კონსისტორიები ყოფილა 56; ეპარქიალური კანცელარიები საქართველოს საექსარხოსში 5; სასულიერო სამმართველოები 4; ფილიანდისა ქ. ებიძორები, ხოლმესკისა, ქ. ხოლმში, ლიუბინსკის გუბერნიაში, ჩიტინკის ქ. ჩიტაში, ზაბაიკალის მაზრაში, სადაც იმყოფება მრკუტსკის ეპარქიის პირველი ვიკარი, ეპისკოპოსი სელენგისა, ალიასკისა, რომელიც განვითარებს ალეუტის ეპარქიის საქმეებს, ქ. სან-ფრანცისკოში.

**

ახალ-ციხის მაზრიდან გვწერენ: ამ წარსული წლის ნოემბრის თვემდის მთელს ამ მაზრაში არც ერთი საეკლესიო-სამრევლო სკოლა არ მოიპოვებოდა. ნოემბრის თვეში კი სოფელს მიქელ-წმიდაში გაიხსნა სამრევლო სკოლა. თუმცა მთელს ამ სოფელში მარტო თერთმეტი კომლი კაცი სტავრებს,

მაგრამ სკოლა კი დაარსეს. ამ თერთმეტ კომლში ორი ქართველია და ცხრა ბერძნი. სკოლაში დღეს 18 მოსწავლე; ამათში 3 ქართველი, 14 ბერძნი და 1 თათარი. ბერძნები კარგად ლაპარაკობენ ქართულად. ვგონებ ჩვენს საქართველოში პარველი მაგალითია, რომ თერთმეტი კომლი ინახავდეს სკოლას. ამ სკოლის გახსნის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძლის ახალ-ციხის წმიდის მარინეს ეკკლესიას ზღალის მდვდელს მ. მიხეილ შამუტოვს, რომელიც აგრეთვე ცდილობს, რომ სხვა საფულებშიც შეაგონოს სამრევლოთა საეკკლესიო სკოლების გახსნა. იმედია, რომ მ. შამუტოვს მრევლის მდვდელებიც დაეხმარებიან ამ მშენებირი და ფრიად სასარგებლო საქმის განხორციელებაში.

**

შარსულს წელში პატარეთში მოინათლა ათას ცხრაას თერთმეტი (1918) სული აუგაზი მავმადის სარწმუნოებისა. ჩვენმა მყითხველებმა იციან, რომ ამ სასიხარულო საქმეში დიდი ღვაწლა მიუძლის დეკანოზს მ. დ. მაჭავარიანს და კნეინა პლათი ელაზბარ დადიანის ასულს შერვაშიძისას, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აფხაზეთში. მს გარემოება მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობამ, საქართველოს ექვანის სამა პალ-ლადიმ მოახსენა უწმიდეს სინოდს, რომელმაც მაღლობა გამოიუწევა აფხაზეთის ეპისკოპოს, გენერალუ და დეკანოზს მაჭავარიანს, ხოლო კნეინა შერვაშიძისას ლოცვა-კურთხევა გრამატის ბოძებით.

**

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ზოგიერთი ბორის ვირები მიყრუებულ სოფულებში ხმას ავტოლებენ, რომ ძელ ოც-და-ხუთიანებს აღარ დებულობენ თაზინებშით. ამ ხმით შემოხებული გლეხები ძეველ ოც-და-ხუთიანებს თითო თუმნად ჰერიან თურმე. რიგია, ამ გარემოებს ჯეროვანი უურადვება მაქციონ სოფულის მღვდლებმა და დაანწმუნონ სამწერლი, რომ ძელ ოც-და-ხუთიანებს ხაზინებშიც იღებენ და დუქნებშიც საქონლის ყიდვის დროს.

**

სამღვდელი სჯულის სახელმძღვანელი წიგნი სურათებით, რომლის ბეჭდვას კაიხანია რაც «მწერები». არედაქტირი შეუდგა, გამოვა აღვგომამდის.

**

ქავკასიის სამისწავლებო ოლქის მხრუნველი წინადადება მიუკია ზურია-სამეცნიელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ზრიგორისათვის, რომ მისმა მეუფებამ მისდამი რწმუნებული სამღვდელოების დახმარებით როგორმე გადათარგმნონ საჭირო ლოცვები კართულიდვან მეგრულ ენაზე. სამღვდელოებას უცდია ეს საქმე, მაგრამ შრომას უსარგებლოდ ჩაუკლია და დაანწმუნებულან, რომ ლაცცების ქართულ ენიდგან მეგრულ ენაზე გადალება მოუხერხებელი და ყოვლად უსარგებლო აღმოჩენილა. ბერძნის კიდევ ეშინია თურმე, ვაი თუ ამ გადმოთარგმნაში მწვალებლობა გამოიწვიოს ხალხშიო.

**

ამა იანერის თვის 17 რიცხვს შუთაისის კლასიკურ გემრაზიაში მეტუთ კლასის მოწავეებ — შვილა გაყვეთილის დროს სცემა ლათანური ენის მასწავლებელს ბ. ვერას.

**

17 დეტრიქტების მომსდახი საქმის შესახებ. ხელმისიფე იმპერატორმა ყოვლად უმოწყვალესად ინტება და ჯილდოება მღვდელთა მკატერინოსლავის გუბერნიისა, პავლი ავრადის მაზრისა, სოფულის მაიმართვისა მ. სტეფან შტეპენკოსი და იმავე მაზრის სოფლის სვეტლიანესკისა მ. თეოდორე სტროცისა, რომელთაც სამიდღობელი პარაკლისი და პანაშეგირა შესარულეს მათ იმპერატორებითი უღიდებულესობათა წინაშე ლოზოვის რეინის გზას საღურაზე 17 ოქტომბერს, მკერდის ოქროს ჯვრებითა, რომელნიც ძეირფასი ქვებით არიან მორთულნი. ამასთანავე მათ იმპერატორებითი უღიდებულესობათა უბოძეს იმ ეკკლესიებს, სადაც ეს მღვდლები ემსახურებან, თითო ხელი სამღვდელო შესამოსელი ღვინის ფერი ხავერდისა თქროს მკერდით მოქარულნი. ნაბოძება ჯვრები და შესამოსელნი გაეგზავნა სამპერატორო სასახლის მი-

ნისტრის გრაფის შორონცო-დაშვერისაგან გუბერ-
ნის უფროსს კუთვნილებისაებრ გადასაცემად.

**

31 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე მათი
იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცე-
სახეები და მთ უდიდებულესობათა ყველა უავგუს-
ტოვი შეცლები გადმობრძნებულან გატჩინოდამ
ჰელიონი საცხოვრებლად.

**

30 დეკემბერს, დილით ვარშავის რკინის გზით
მიბრძანებულა ბატჩინოში მიტროპოლიტი პეტერბურ-
გისა და ნოვგოროდისა მაღალ ყოვლად უსამ-
დედელოვესი სიღორე პლექსანდრე ნეველის ლავრის
უფროსი ბერძონაზონებითურთ. ბატჩინოს რკინის
გზის სადგურიდვან მათი მაღალ ყოვლად უსამღვდე-
ლოვესობა სასახლის ეტლით წამობრძანებულა გატ-
ჩინოს სასახლეში, სადაც თან მიყოლილ მონაზონებ-
თან ერთად ულოცია ქრისტე მათ იმპერატორებითი
უდიდებულესობასთან; ლოცვაზე დასწრებიან აგრეთ-
ვე მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა
მემკვიდრე ცესარევიჩი ნიკოლოზ პლექსანდრეს ძე
და სხვნი უავგუსტოვენი შეილები. ლოც-
ვის გათავების შემდეგ, სასახლეში ძევლიდვანვე-
შემოღებული ჩევულებისაებრ, ხელმწიფე იმპერატო-
რი გამასპინძლებია მიტროპოლიტს ძევლი მაღალის
ღვინით, ხოლო ხელმწიფე იმპერატორი—ბისკუინტ-
ბით. იმავე დღეს მიტროპოლიტი სიღორე დაბრუ-
ნებულა პეტერბურგში.

**

პირველ იანვარს ამ 1889 წლისას მისი იმპერა-
ტორებითი უდიდებულესობის ამაღაში ყოფილა 180
კაცი. ამათში გენერალ-აღიუტანტი არის 77, რო-
მელთაგან 4 დანიშნულია იმპერატორის ნიკოლოზ
პირველისაგან, 68—პლექსანდრე მეორისაგან, და 5—
პლექსანდრე მესამისაგან. გენერლები ყოფილა 25,
მათში 21 კაცი უწინდელი იმპერატორებისაგან ყო-
ფილან დანიშნული, 4 კი ალექსანდრე მესამისაგან.

ცლიგელ-აღიუტანტი ყოფილა 78, მათში 68 წი-
ნანდელ დროში ყოფილან დანიშნული, ხოლო 10
პლექსანდრე მესამისაგან. ამ ამაღის წევრთა შორის
რკინი არის 131, ნემეცა 31, ვილიანდელი 6, პილ-
შელი 3, კავკასიონი 5, ბერძენი 2, რუმი-
ნელი 2 და სრულიად 180.

თედორე - მრისტიანი და მისი მეგობარი
აბრამა . ურია.

ნათარგმნი რესულიდგან.

(ძველი ამბავი).

— ააი ხანია მას აქეთ, რაც ქალაქს პონსტანტინე-
პოლში სცხოვრებდა ორი სხვა-და-სხვა ხელობის და
სარწმუნოების მეზობელი. მრთი მათგანი იყო ქრის-
ტიანი, ხოლო მეორე ებრაელი; პირველი იყო ვაჭა-
რი, მეორე ოქტომცედელი. მეტად კარგი მეზობლო-
ბა ჰქონდათ ორივეს ერთმანეთში. მრთი მეორეს არას-
ოდეს არასფერს არ აწყენინებდა და ამასთან ისჩვეუ-
ლებაცა ჰქონდათ, რომ ერთი მეორის გასაგონად
თავის სარწმუნოებაზე ერთ სიტყვასაც არ ჩამოაგდებ-
და—თავის სარწმუნოებას არ აქებდა და სხვისას არ
აძაგებდა. მრივე ამ აზრისანი იყვნენ: «ეისაც რა
სარწმუნოება აქს მიცემული, იმ სარწმუნოებაზედ
უნდა იდგეს, რადგან ეს ყველაფერი ლეთს-ნება
არის». ამის გამო ისინი კეთილდა, თანხმობით და
ბედნიერად იტარებდნენ თავის ცხოვრებას. მრივე მე-
ზობლების ჰყავდათ თითო ვაჟი, ტოლები—ერთ ერთ
წელში დაბადებული. ქრისტიანში მაღულად მო-
ნათლია თავისი ვაჟი და სახელად თედო-
რე დაარქეა, ურის ვაჟაც, როგორც მისი სარწმუ-
ნოების წესი მოითხოვდა, მერვე დღეს წინა-დაცერ-
ოს და სახელად აბრამი დაარქევს.

მი დროს პონსტანტინეპოლიში უმთავრესი სარ-
წმუნოება იყო კერპო-მახურება; ქრისტიანები და

ებრაელები იქ ძალიან ცოტანი იყენებ და ერთობ ერიდებოდენ წარმართებს. პშიტომაც თეფორეს მონათელა და პბრამის წინა-დაცვეთა ფარულად მოხდა მათი მამების სახლშიდ, სადაც მხოლოდ მახლობელი ნათესავები დაესწრნენ.

ორივე მეზობლები ერთობ გახარებულნი იყვნენ და ღმერთს მაღლობას ჰსწირავდენ, რომ ისინი კუვილოდ არ გადავლინდენ.

— მაღლობა ღმერთს, მეზობელო! — ეუბნებოდა ქრისტიანი ებრაელს — რომ მან შეილები მოგვცა. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს ვაჟებსაც ისეთი განწყობილი ცხოვრება უქნესთ, როგორც ჩვენ.

— ჩვენს შეილებს უფრო თანხმობა და კარგი მეზობლობა უნდა ექნესთ — ვინემ ჩვენ, რაღაც თავიანთ მამების კეთილს მაგალითს ხედვენ, მიუგო ებრაელმა.

თანხმობისაგან წარმოსდგება ბელნიერება, ხოლო უთანხმოებისაგან მოუსვენრობა და განაფერება, დაუმატა მან.

II

როდესაც თედორე და პბრამი იმდენიდ წამოიზარდენ, რომ მათ თამაშობა შეიძლეს, დადგი — ქრისტიანის და ებრაელის ქალები — გამოიყვანდენ ხოლმე თავიანთ შეილებს ბოსტანში სათამაშოდ.

ქრისტიანის და ებრაელის ბოსტნები ერთანერთები იყვნენ მოპმულნი, ასე რომ შუაში ღობეც არ იყო გავლებული (იმ ღროს ჩვეულებად არ ჰქონდათ ბოსტნების შამოლობა). ზამოიყვანდა ებრაელის ქალი თავის პბრამუნას და დასვამდა ბოსტანში, ქრისტიანის ქალიც გამოიყვანდა თავის თეღუს და მოუსვამდა მას გვერდით, მოლზე, ვარდის ბუჩქს ქვეშ. მისცემდენ მათ რამე სათამაშოს და თეოთონ კი დაბრუუდებოდენ თავიანთ სახლში და შეუდგებოდენ ოჯახის საქმეს, მაგრამ ერთიც და მეორეც შეილებს ასე უბრანებდენ: «მშვიდობიანად და მხიარულად ითამაშეთ, ჩხები არ მოგივიდესთ და თუ, ვინიცობაა, რაიმე უთანხმოება მოვიხდესთ, ჩვენ არ გაგვიმხილოთ, თქვენ თეოთონ გამოსწორდით ერთმანეთში».

ამ კეთილს დარიგებაში უმაშვილები დაიზარდება ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც ერთ ლვიძლზე ნადებს ძმებს. ძმობაში ხშირად მოხდება ხოლმე უთანხმოება, მტერობა, მაგრამ იმათ კი სრულებით არაფერი უკმაყოფილება არ შემოხვევიათ. რაც ერთს გაეხარებოდა, — ის მეორეს, რაც ერთს მოეწინებოდა, ის მეორეს.

თუმცალა ერთი მონათლული იყო და მეორე წინ-დაცვეთილი, მაგრამ ამაზე იმათ არავერი არ იციდენ. მოუცლელობის გამო მამებს არასუერი უთქვამს მათთვეს ამაზე, და კიდევაც რომ აეხსნათ მამებს, მაინც მათი უმარკო ბავშვური გონება ვერ გაარჩევდა, რა განსხვავება იყო ნათელასა და წინა-დაცვეთის შორის.

ისინი ერთად თამაშობდენ და თამაშობისაგან დაქნეულებს ხშირად ჩახუტულებს ეძინათ ხოლმე იმ გარდის ბუჩქებში, სადაც აუარებელი ოქროს ფეროვანი ფუტკრები ფუტფუტებდენ, მაგრამ არც ქრისტიანს და არც ურიას ისინი არ ეხებოდენ.

თედორე და პბრამი იმდენად წმოიხარდენ, რომ ღრო იყო მათი სკოლაში მიცემისა. მს ის ღრო იყო, როდესაც მონსტრაცინებოლში ქრისტიანობა გავრცელდა და წარმართობა ისპობოდა; იმ ღროს, როდესაც კერპთა ტაძრები დაქციეს, საყდრებათ გარდააკეთეს, ქალაქის კედლებზედ და ალაყაფის კარების თავებზე ხატავდენ, რომ გამელელ-გამომელელს ელოცა და თაყვანი ეცა.

ამ ღროს ბევრი სხვა-და-სხვა გვარი წესები შამოილებს და უმაღლებს მთავრობას არწმუნებდენ, რომ ქრისტიანების და ურიების ერთად სკოლაში სიარული არ ვარგა და უსათუოდ ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ურიები და ქრისტიანები ერთმანეთში არ იყვნენ არეულნი — სიყმაშვილითვე უნდა ვავათვისთვის ისინით. მათი ერთად სწავლა მოუხერხებელია, რადგანაც ურიების სჯულის კანონი მოხესგან არის დადგებული და ჩვენი კი ქრისტესგან. ჩვენ მათი ძევლი აღთქმის კანონები გვრჩამს, მაგრამ ახალი აღთქმის ქანონის დამატებით; ურიები კი ფიქრობენ, ახალი აღთქმის კანონის დამატება საჭირო არ არის, საკმარის მხოლოდ იმის შესრულება, რაც მოხეს დევლს კანონში სწროიაო.

ა. წულუკიძე.

(გაგრძელება იქნება).

სწორი და შეცნიერება ქრისტიანობის სამართლებასა და კეთილდღიურ ზედებაზე

წმიდა ნინო

ქართველთ განმანათლებელი.

სული წმიდის მოსკოვის შემდეგ მრისტეს მოწაფებმა და ლეის-მშობელმაც წილი ჰყარეს, რომ შეეტყოთ, ეს სად და რომელ ქვეყანაში უნდა ექვდავნა მრისტეს სარწმუნოება. ჩევრი ქვეყანა, როგორც გადმოცემა გვიამბობს, თვით ლეის-მშობელს ერგო წილით. მაგრამ მის ნაცელად მოციქული ანდრია პარველ-წოდებული მოვიდა ჩევრში და იქადა ქრისტიანობა დასაცლეთ საქართველოში. მრისტეს სჯული მაშინ ვერ დამყარებულა ჩევრში, და სამასმა წელიწადმა კიდევ გაიარა მრისტეს შემდევ, როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს. მეოთხე საუკუნეში (318 წ.), სწორეთ იმ დროს, როცა საბერძნეთში დიდი ქონსტანტინე მეფის და რომელმაც მოსპონ ქრისტიანების დევნა, საქართველოში მოვიდა იერუსალიმიდან ერთი ფრიად შესანიშნავი ქალწელი, რომელსაც ნინა ანუ ნინო ერქვა, და მან მოაქცია ქართველები.

წმიდა ნინოს მამას სახელად ზაბულონი ერქვა. მს კაცი პირველად სცოვერებდა ძაბადოკიაში და იმ ქვეყანაში დიდი მამულები ჰქონდა. ახალ-გაზლობისას ის წავიდა რომის ქალაქში და იქ სამხედრო სამსახურში შევიდა. სამახურში იმან ძრიელ ისახელა თავი.

შემდეგ მან შეირთო ცოლი სუსანა, და მიეცა ქალი ნინო. როცა ნინო თორმეტი წლისა იყო, მამა მისი ბერად შესდგა, დედაც მონაზვნად. პატარა ნინო ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა, მიაბარა გასაზრდელად ერთ ლეის მოყვარემოხუკს დედა-კაცს, რომელიც იერუსალიმში მრისტეს საფლავს ემახურებოდა. ამ ლეის მოყვარე დედაკაცისაგან მან მი-

იღო სწავლა და ისიც შეიტყო მისგან, რომ იქნა მრისტეს უკერავი პერანგი ანუ კართი საქართველოში იყო წამოღებული.

წმიდა ნინო ძალიან სწუხდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მრისტეს კვართი იყო, ისეთი ხალხი სცხოვებდა, რომელსაც მრისტე არა სწამუა. პმიტომ მოინდობა მრისტეს კვართის პოვნა და ქართველების მოქრისტიანებაც. ამ აზრით ის წამოვიდა სა-



ქართველობი. ზხაზედ მან დადა შიში და წევალება გამოსცადა. მაგრამ ერთხელ ძილში გამოეცხადა მას ლეის-მშობელი, გააჩნევა და მისცა მას ვაზის ლექტრისაგან გაკეთებული ჯვარი, რომელიც შეჰქრა თავისი თმით. როცა წმიდა ნინოს გამოელია, იმან მართლაც ეს ჯვარი თავის ხელში ნახა და ძალიან გაეხარდა; ეხლა კი დარწმუნდა, რომ ღმერთი მისი შემწე იყო, გამნენ გებული წამოვიდა და მოვიდა მცხეთას თავისი ჯვარით.



შართველები მაშინ წარმართები იყვნენ და არმაზის კერპს სცემდენ თაყვანს. მეფედ მაშინ ჩენენში მირიანი იყო. წმიდა ნინოს მოსელის მეორე თვესა შართველებს მცხეთაში არმაზ კერპის დღეობა ჰქონდათ. ნინოს ლოცვის ძალით საშინელი ჭექა-ქუჩილი გაჩნდა და კერპები სულ შემუსრა და პირქეე დასტა იყინი. მცხეთაში ნინომ პირველად გაიცნო ქალი შროშანა, რომელიც მეფის ცოლის პირვარეში გოგო იყო. ნინო შეეჩინა მცხეთაში მირიან მეფის მებალის ცოლს ანასტასიას. მს დედა-კაცი უშვილო იყო; ნინოს ვეღრებით მას შეილი მიეცა; ამავე დროს ნინომ მოარჩინა ერთი მძიმე ავათ-მყოფი.

ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, რომ, როცა ურიებმა შრისტე ჯვარს აცვეს და მისი ტანისამოსი გაიყვეს, იმ დროს იქ დაქსწრო ერთი მცხეთელი ურია, რომელსაც ერქვა მლიონი. ამ ურიას ერთ ქრისტეს პერანგი (კვართი); იმან ის პერანგი წამოილო შინ და თავის დას სიდონიას აჩუქა; როცა სიდონია მოკედა, კვართისამარეში ჩაატანეს.

როცა მირიან მეფის ყურამდის მიაღწია ამ ამბავმა, მან აღურდალა ნინოს ქრისტეს სახელით ქადაგება. მაშინ წმიდა ნინომ აღირჩია ერთი ადგილი იქ, სადაც ეხლა სამთავრის ეკკლესია არის, გაავეთა კარავი, დააგო შიგ ნაბადი, დაასევნა თავისი ჯვარი და დღე-და-ღამე ეველრებოდა ღმერთსა. აქ მოდიოდა მასთან ბლომად გაჭირებული ხალხი და ნინოც ყველას შეელიდა და თან უქადაგებდა ქრისტეს სწავლასა. როცა წმიდა ნინომ დაინახა ხალხის პატივისცემა თვისტამი, გამხნევედა ის და უშიშრად ქადაგება დაიწყო. ამ საქმეში იმას მაღვით შეელიდნენ თვითონ მირიანის ცოლი, დედოფალი ნანა, და სხვანი ბევრი მაღალი წოდების ქალები.

მს ამბავი შეიტყო მეფემ, გაჯაერდა და დაუწყო წმიდა ნინოს დევნა და მოკვლაც უნდოდა. მაგრამ იმ დროს ნანა დედოფალი ძრიელ აედ გახდა; ექიმებმა ვერა უშეელეს რა და მაიწვიეს თვითონ ნინო. ამან განკურნა მომაკედავი დედოფალი და გამოუცხადა: მე კი არა, ჯვარმა მრისტესან ულენია ავათ-მყოფსო. ზანკურნებულ დედოფალს კიდევ უფრო შეუყვარდა წმიდა ნინო, გახდა ცხალათ მისი მეგობარი, მოსარჩევ და სულითა და გულით ქრისტიანი. მეფემ არ მოიწონა დედოფლის ასეთი ქცევა და დიდებულთა ტჩევით გადასწყვიტა, რომ წმიდა ნინოც მოეკლათ, დედოფალი ნანაც და სხვანიც, რომელთაც კი მრისტე ეწამათ.

ამ გვარ მდგომარეობაში მეფემ მოინდომა თავის გასართობად ნადირობა; თან იახლო თავისი ამალა და გაეიდა მცხეთიდგან. მს ნადირობა გახდა მიზეზად მისი მოქცევისა. ნადირობის დროს იმას უბედურება შეემოხვა. თხოოთის ტყეში რომ შეეიდა, იმას უცცრიად დღე საშინლად დაუბნელდა, ის ძრიელ შეშინდა; ამან და იმის მხლებელებმა სიბნელეში ერთმანერთი დაჲკარგეს. დარჩა მეფე ტყეში მარტოდ, ჩამოხდა ცხენიდგან, დაიჩოქა და დაუწყო ჯვრ თავის ღმერთებს ხევწნა; რომ არ მიეცა შეელა, მერმე მიმართა შრისტეს: «ღმერთო ნინოსაო! ოდონდ განმინათლე ეს სიბნელე, მშვიდობით დამაბრუნე შინ და მაშინევ ეიწამებ შენს სახელსა, თაყვანისა ესცემ შენს ჯვარს და შენ მიერ მოვლინებულს ნინოსაო».

გაათავა თუ არა მეფემ ლოცვა, სიბნელე მაშინვე გადევარა, და ქვეყანას ისევ სინათლე მოეფინა. გახარებულმა მეფემ მოძებნა თავისი მხლებელნი, უცხარა ერთ-დ, გამოუტხადა, რაც მოხდა, დაანება თავი ნადირობას და მაშინევ ლაბრუნდა მცხეთაში. მაგრამ ის პირ-და-პირ სახლში არ მიეიდა, იმან მიმართა ცხენ-და-ცხენ წმიდა ნინოს სადგურს, ჩამოხტა ცხენიდგან, დაიჩოქა და მუხლი მოუყარა ჯვარს. მერმე გამოუტხადა წმიდა ნინოსა და ხალხს, რომ მას სურს თვითონაც მიიღოს ქრისტიანობა და ხალხიც გაქრისტიანოს.

შემდეგ ამისა მეფემ და ნინომაც მისწერეს საბერძნეთის მმპერატორს პონსტანტინეს ქართველთ გაჭრისტიანების სურვილი და სთხოვეს საქართველო მღვდლები გამოეგზენა. პონსტანტინეს ძრიელ იამა ეს ამბავი და გამოვზენა საქართველოში ქისიკონის მსტატე, ორი მღვდლელი და სამიც მთავარ-ლიკონი. მინამ ისინი მოეიდოდნენ, წმიდა ნინომ ხალხი საკმაოდ მოამხადა ქადაგებით. როცა მოეიდნენ, პირველად მოინათლენ მეფე მირიანი და დედოფალი ნანა და შემდეგ ყველა ხალხი სატაცო ქალაქის მცხეთის მცხოვრებნი. სხვ აქ გვარად მცხეთაში მტკვარი შეიქმნა ემბაზათ მცხეთის მცხოვრებთათვის, რომელშიაც ისინი მოინათლენ ნინას ქადაგებით. შემდეგ ამისა ნინამ დაიწყო ქადაგება საქართველოს სხეა-და-სხეა მხარებში და ხალხი მთლად მოაქცია შრისტეს სჯულზე.

როცა მახეთში წმიდა ნინამ შესრულა თავისი მოციქულებრივი მოღვაწეობა, ღვთის განგებით ეუწი-

ყა მას ოვისი სიკვდილის მოახლოება. მს აშპავი წმიდა ნინო მაშანევ აცნობა მეფე მირიანს. მეფე და ეპისკოპოსი იუანე მაშანევ წავიდენ მასთან.

338 წელში ნინამ მიძინა; მისი გვამი და-ასაფლავეს სოფელ ბოლბისში, იქ, საღაც მიძინა. 342 წელში წმიდა ნინოს საულავშედ მეფე მირიანმა და-იშუო ეკკლესის შენება, რომელიც მისმა შეილმა ბაქარმა დაასრულა.

ივერიის ეკკლესიამ ანტიოქიის ეკკლესის ნება-დართვით წმიდა ნინას უწიდა მაციქული სწორი და საქართველოს განმანათლებელი და შერაცხა იგი წმიდანების რიცხვში და მის მოსახსრებლად დააწესა ყოველ წლობით დღესასწაული 14-ს იან-ვარს. ამ დღესასწაულის დაარსება უნდა მომხდარი-ყოს წმიდა ნინას მიძინების შემდეგ ახლო ხანებში, როგორც ამას მოწმობენ ძეელი ეკკლესიები, რო-მელნიც აღშენებული არიან წმიდა ნინას სახელზე.

რუსთის მართლ-მალიდებელ ეკკლესიასაც აღი-რებული ჰყავს წმ. ნინო მოციქულთ-სწორათ.

ამ გვარად მართლ-მალიდებელი ეკკლესია ივე-რიისა ლირსეულად სცემს პატივს წმიდა ნინას, რო-გორც მოციქულთ-სწორას და საქართველოს განმა-ნათლებელს წმიდა ნათლის-დებითა.

წმიდაო დედაო, მოციქულთა-სწორო ნინა! ეველრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა მოანიჭოს ღმერთმა მშვიდობა და კეთილ-დღეობა საქართ-ველოს ერთა, შენგან განათლებულსა და გაქრის-ტიანებულსა და ზაცვდას იგი უოველთა ხილულ-თა და უხილავთა მტერთაგან.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კატივცხაულო რედაქტორი!

უმორჩილესადა გოხოვთ, გვაცნობოთ თქვენ პატივცხმული გაზ. „მწყემსი“-ს საშუალებით,— შეიძლება თუ არა, რომ გერის შვილს მამის გვარის ნაცვლად ჰაბის გვარი მავცეს ნათლობის დროს და აღწევის სიაშეც ისე ჩაიწეროს?

აი საქმე როგორ გახლდათ:

მღვდელმა მონათლა ბავშვი. ნათლობაზედ და-ესწრენ ბავშვის მამაც და პაპაც (ბავშვის მამის მამინაცეალი). რადგან ეს მამინაცეალი უშეილო კაცი იყო, მოიწადინა და სთხოვა მღვდელს, რომ მას შეილოს (გერის) შვილისთვის თავის გვარი მიეცა და არა მამისა. მღვდელი შეფიქრდა და ვერც იქნა და ერც აქეთ. აი ამ კითხეის გარდასაწყვეტათ თქვენ მოგმართეთ?

ა. ბ—ლი.

რედაქტორის პასუხი: არ შეიძლება.

მიღება ხელის-მოჭერა 1889 წლისათვის ორ-პეტერბურგ გამოცემათა ჩართულს

„მწყემსი ეჭვო“

რუსულ 『ПАСТЫРЬ』-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყო-ბინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა გან-კარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და

სახორციელობათა, კონსისტორიათა და მდგრად-მთავართა; 2) გაეგრცელოს ქორთულ სახულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და სახორციელებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააგრცელოს საქორთველოს სამდევლელო და საერთო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუქსეს და განუმარტოს სამდევლელო და საეკლესიო მოსამახურე პირთა ზოგიერთი საეკლესი კითხები, რომელთა ცოდნა მიუკილებელ საჭიროებას უდეგებს მათთვის მტკიცედ მათთვის მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანონცულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის—1) შეცუობინოს რუსეთის სასულიერო და საერთო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილთ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერთო წოდებას საქართველო, ეს დაწორებული კუთხე რუსეთის მმართვისა და საქართველოს სასულიერო და საერთო წოდება ქრისტიული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობისა და ხალხის ცხოვრების.

ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა:

12 თვით 『მწყემსი』 5 გ.	6 თვით 『მწყემსი』 3 გ.
— „, ორვე გამოცემა 6 ”	— „, ორვე გამოცემა 4 ”
— „, რუსული „, 3 გ.	— „, რუსული „, 2 გ.

რედაქცია იმუოფება ქ. თბილისში სადოვის ქუჩაზე, მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. შუთაიშვი ხანანაშვილების სახლებში და დ. უირილაშვი რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

გარეშე მცხოვრებთა განეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით; ვЪ ქვირი, ვЪ კონტორი რედაქციის „МЦКЕМСИ“ და 『ПАСТЫРЬ』.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на

„ТИФЛИССКИЙ ЛИСТОК“

на 1889 годъ.

Газета, неимѣяя своего направлѣнія, и въ будущемъ году будетъ издаваться ежедневно, исключая послѣпраздничныхъ дней. Постепенно возрастающій успѣхъ «Тифлисского Листка» побудилъ насъ значительно увеличить программу газеты. Съ этого года, помимо существовавшихъ отдѣловъ, мы будемъ помѣщать всѣ правительственные распоряженія, равно приказы о производствѣ въ чини и награжденія орденами по военному и гражданскому вѣдомствамъ. Отчеты думскихъ засѣданій и рефераты мѣстныхъ ученыхъ обществъ мы будемъ составлять болѣе подробно чѣмъ въ прошломъ году. Главнымъ образомъ, мы направимъ всѣ свои усилия къ развитію „Мѣстного отдельла“, давая въ немъ возможно полныя свѣдѣнія о мѣстной жизни, о мѣстныхъ злобахъ дня и вообще о выдающихся событияхъ и проявленіяхъ общественной жизни. Обращено будетъ вами также внимание и на отдѣль беллетристической.

Увеличеніе программы газеты, сопровожденіе съ пѣкотойми затратами, винуждаетъ насъ набавить на подписную цѣну одинъ рубль, такимъ образомъ, вместо трехъ рублей, городские подписчики будутъ платить четыре руб., для иногороднихъ же подписчиковъ цѣна остается прежняя.

Подписьная цѣна.

Съ доставкою въ Тифлисъ на годъ—4 руб., на полгода—2 руб. 50 к., на 1 мѣсяцъ—50 коп. Съ пересылкой для иногороднихъ на годъ—5 р., на полгода—3 руб., на 1 мѣсяцъ—1 руб.

ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНИЯ принимаются въ конторѣ редакціи „Тифлисского Листка“—на Барятинской улицѣ, д. Ротинова.

Подписька принимается только на вышеуказанные сроки съ 1 числа любого месяца.

Редакторъ-издатель X. I. Хачатуровъ.

რედაქტორი და გამოცემის დებ. ლ. ლამბაშეძე. ლო. цензорი, 29 января 1889 г.

საკუთარი მსწავლებელი მეცნიერებისა.